ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ-ზე მდებარე სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის (საწყობის) სრული საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის საკონკურსო კომისიის

ოქმი № 02

2014 წელი ___15___ აგვისტო

ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ზ. ზუბადალაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ბ. ტეფნაძე, ლ. მღებრიშვილი, გ. ქარსელაძე, ი. სიჭინავა

დღის წესრიგი:

ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ-ზე მდებარე სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის (საწყობის) სრული საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში **(№1286),** 2014 წლის 11 ივლისს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა იგორ სიჭინავამ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე მხოლოდ ერთი კონკურსანტის ,შპს „გეომეფის“ მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. საკონკურსო წინადადების ფასი - 20 000 ლარი.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „გეომეფის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მისაღებად ჩათვალა იგი. ამის შემდგომ კომისიის წევრებმა შეაფასეს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული პრიორიტეტულობის კოეფიციენტების გათვალისწინებით.

კომისიამ დაადგინა:

1. ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ-ზე მდებარე სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის (საწყობის) სრული საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში **(№1286)** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „გეომეფი“.

2. დაევალოს საფინანსო და სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს შესყიდვების განყოფილებას:

   1. საკონკურსო კომისიის ოქმისა და სხვა საკონკურსო დოკუმენტაციის შესყიდვების სააგენტოსათვის წარდგენა შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) მათი შემდგომი გამოქვეყნების მიზნით.
   2. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შპს „გეომეფის“-თვის შეტყობინების გაგზავნა.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება შპს „გეომეფ“-თან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ზ. ზუბადალაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

ბ. ტეფნაძე

ლ. მღებრიშვილი

გ. ქარსელაძე

ი. სიჭინავა